ვაჭრობის შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების ათვისება. ვაჭრობის პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვამ, საილო ვაჭრობის ქსელის შემდგომმა სპეციალიზაციამ უნდა გამოიწვიოს შრომის მაღალი ნაყოფიერება და სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების რენტაბელობა.

იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც დგას ვაჭრობის მუშაკების წინაშე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცალო ვაჭრობის ორგანიზებისა და საწარმოების სავაჭრო-ოპერატიული საქმიანობის სწორ ორგანიზაციას, რომლის ძირითად შინაარსს წარმოადგენს კომერციული მუშაობა. ამ მეტად მნიშვნელოვან სამუშაო უბანზე ვაჭრობის ორგანიზაციებს ჯერ კიდევ აქვთ არსებითი ნაკლოვანებები და დარღვევები. ჩვენს ქსელში კვლავ გვხვდებიან ისეთი მუშაკები, რომლებიც მეუფლებელი ხაქციელით, უხეშობით, თვალთმაქცობით ახელს უტარებენ ყვიდას ზოგი მთგანი არ ერიდება მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუებას, დეფიციტური საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვას, უფასქტრო საქონლის შემოტანას. გასულ წელს ამ დარღვევების გამო მოიხსნა და პროკურატურას გადაეცა არაერთი მუშაკის საქმე. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა 168, ჩამოქვეითდა — 69, ხოლო დისციპლინარული სახელი დაედო 2.512 მუშაკს.

საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: 1969, 1970, 1971 წლებში ქალაქის ვაჭრობის სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და სავაჭრო საწარმოებში ბოსტნეულის შესყიდვის სიკეთე. წელს თბილისელებს მიეყიდება 12 მილიონი მანეთით მეტი ხილი და ბოსტნეული, ვიდრე შარშან.

ეს ამბავი ასე დაიწყო. სოფლების მერიის, ნიდობილევის, თხინვალის, ხვარბეთის კოლმეურნეობებმა მოლაპარაკება და გადაწყვეტილე კოდეკ, რომ მათთვის მონაწილეობით ეგოთ საშუალო სკოლის ტიპური შენობა. ეს იყო ადგილის მწყურვალებისაკენ მიმავალი ამ ოთხი სოფლის მოსწავლე ახალგაზრდობის მრავალი წლის ოცნება. ამ სოფლებს არ გააჩნიათ საშუალო სკოლა, გარდა ექვსკლასიანი 3 კლასისა. მხოლოდ მერიაში საშუალო სკოლა 525 მოსწავლის ადგილით, 25 ფინანსური კლასით. ეს ერთადერთი საშუალო სკოლა უწევს მომსახურებას აღნიშნული ოთხი მეზობელი სოფლის ახალგაზრდობას. ამგვარ სკოლა სავსებით შეეფერებელ, ადამისდროინდელ ბინაშია. ამიტომაც იყო, რომ ყველანი ალფრთოვანებით შეხვდნენ მეზობელი კოლმეურნეობების გადაწყვეტილებას.

გამოუყოფილ იქნა თანხები, გადაიდგა მტკიცე საქმიანი ნაბიჯი. 1966 წელს „საქქალაქმშენსახბრობენტის“ ბათუმის ფილიალმა დაპროექტა საშუალო სკოლა 969 მოსწავლის ადგილით. პროექტი შეთანხმებულ იქნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, რომელმაც 1967 წლის 27 სექტემბერს დამტკიცა იგი (ოქმი № 10). ამის შემდეგ მშენებლობის დაწყების ნებართვა მიღებულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან.

დაიწყო ახალი სკოლის მშენებლობის სამუშაოები. სოფელ მერიის ცენტრში დაჭკრეს ბარი მერიელმა, ხვარბეთელმა და ნიდობილეველმა მშრომელებმა. მშენებლობის მეთაურობა მიენდო საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მახარაძის № 13 მოძრავ-მექანიზირებულ კოლონას. პირველ ხანებში მშენებლობა ნინებულად მიდიოდა. შემდეგ კი წაიწყდნენ სიძნელეს — ნიდაგის ქვედა ფენების ცუდშემადგენლობას. მშენებლები იძულებულნი გახდნენ მიემართათ ხიმინჯებით გამაგრებისათვის. რამაც მთელი სამი წლით გაუგიანურა სამშენებლო საქმე. მწგრამ, როგორც ჩქნა, სრულყოფილად დამთავრდა ფუძე-ზეძირკვლის სამუშაოები, რაზეც კოლმეურნეობებმა 106 ათასი მანეთი დახარჯეს.

ამ პერიოდში კოლმეურნეობებმა დაიწყეს კოოპერირებული წესალადების შენებლობა, სხვილ მწიფო სესხიდან დიდძალი თანხები დახარჯეს და შეექმნათ ფინანსური საძირკველები. ესეც არ იყოს, მათი თუალადი შემოსავალი დაბალია. მაგალითად, მერიის კოლმეურნეობის წლიური ფულადი შემოსავალი 47 ათას მანეთს შეადგენს. ხვარბეთისა — 70 ათასს, ნიდობილევისა — 50 ათასს, მაშინ როდესაც სკოლის მშენებლობის ეკამეფორების საბარჯთალრიცხვო ლირებულება 418 ათას მანეთს შეადგენს. ამიტომ მახარაძის რაზასაბჭოს აღმასკომმა სხვასრული ფრიალოდ ალნობა ყოველივე ეს ზემდგომ ორგანოებს და, განათლების სამინისტროს თანხმობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მერიის საშუალო სკოლის მშენებლობა შეიტანა 5-წლიან გეგმაში. ეს საგულისხმოა ისიც, რომ განათლების სამინისტრომ ალრო ვალდებულება ფუძეზეძირკვლის სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჩაიბარებდა და თავისი სახსრებით წარმართავდა სკოლის მშენებლობას.

აქ ‘ცალკე ალნიშნის ღირსი ერთი ფაქტი, ფუძე-ზეძირკვლის დამთავრების, მისი ეარგისიანობის შესახებ აქტი შეადგინეს 1972 წლის აგვისტოში. აქტს ხელს აწერენ განათლების სამინისტროს, საპროექტო და საშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს დოკუმენტი წარედგინა განათლების სამინისტროს. ამ დოკუმენტზე ეყრდნობა მშენებლობის გასაგრძელებლად, მაგრამ ყველაფერი ამაზე ‘ცივი უარი განაცხადა... სკოლების მშენებლობის 5-წლიანი გეგმიდან სრულიად ამოიღეს მერიის საშუალო სკოლა.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, მერიის სკოლის მშენებლობის პროექტი თავის დროზე მოწონეს განათლების სამინისტროში. ახლა რით არის გამოწვეული პროტესტები ახალი პროექტის შედგენაზე? ადგილზე სიმის გაკეთებამ დაგვიმტკიცა, რომ მერიის საშუალო სკოლის მშენებლობა შესაფერის ადგილზეა დაწყებული.

ახლა საჭიროა მხოლოდ მშენებლობის რაც შეიძლება დაჩქარება. მერიის საშუალო სკოლის ძველ შენობა ამფენილ ფეხარეულია, რომ ამ დღეებში სკოლა გადმოვიანილ იქნა მერიის კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს კანტორაში.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბ. მახარაძე.

კურსებმა მუშაობა დაიწყო

დაიწყო მეცადინეობა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადასამზადებელ ერთთვიან კურსებზე. მეცადინეობას შეუდგნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდის განყოფილებათა გამგეები. პარტიული მუშაობის შეისწავლიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებს. სოციალისტური ეკონომიკის მეცნიერული მართვის საფუძვლებს, პარტიული მშენებლობისა და ideოლოგიური მუშაობის საკითხებს.

კურსების მსმენელები გაიცნობიან საქალაქო პარტიული ორგანიზაციის პროპაგანდისტული და საგანმანათლებლო მუშაობას.

„საქართველოს კომუნისტი“ № 3

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მეორეგზ, მესამე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები: **მოწინავე** — ბანვეთიანობისთვის მასების შემოქმედებითი ენერგია, ინიციატივა და აქტივობა; ა. ჩურკინი — პარტიული, საბჭოლმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება რეპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ინმნიშვნელოვანესი პირობა; **ბ. ჩხეიძელაშვილი** — პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპები; **ბ. ფირცხალავა** — კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და წინსვლის ნაკადი მეთოდი; ა. **კელენჯერიძე** — უკმეშვრომისო ბრძოლა, პარტიული პრინციპულობა; ი. **ტუფელაშვილი** — რატომ ირღვევა ეთანობა არ კლებულობს დანაშაულიდ? განყოფილებები: „საერთაშორისო თემაზე“ დებატი ალია ო. ჭელაიას წერილი ახალ ლიმოსაკლეთი; რმისა და მშვიდობის პრობლემები,

„პრესის მიმოხილვის“ განყოფილებაში გამოქვეყნებულია წერილი — საოლქო გაზეთის ლიდი ამოცანები.

ჟურნალს აქვს ალრეთვე განყოფილებები: „სახოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მტკივნეული საკითხები“; „ეროვალისტური შეხედულება — წინსვლის მძლავრი ლოკომოტივი“; „მშრომელთა ეკონომიური განათლება“; „საქართველოს კომუნისტის“ გამოსვლის შემდეგ.

ამბები • ფაქტები

მსოფლიო დღეს

საკვლევი და უცხოეთის პრესის საკვანძო ინფორმაციები

□ კელნინგი

ქამხილებენ ჩილეს სამხედრო ხუნტის სისხლიან საქმეებს

□ პრაღა

მონოლება განიარაღებისათვის

□ ნიუ-იორკი

ჯ. ვალდჰაიმის გამოსვლა

შეწყდეს აგრესიული მოქმედება!

კელნინგი, 21 მარტი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, რომ განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებანი სირიის საზღვარზე ისრაელის შეიარაღებული ძალების აგრესიული მოქმედების შეწყვეტის მიზნით.

ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის დამყარება, აღნიშნულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმისადმი დეპეშაში, შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ისრაელი მთლიანად გაიყვანს ჯარებს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან და უზრუნველყოფს პალესტინელი ხალხის უფლებებს. მშვიდობის მსოფლიო საბჭო სრულ სოლიდარობას უცხადებს სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობასა და ხალხს, ნათქვამია დეპეშაში.

მთავრობის პროგრამა

რომი, 22 მარტი. (საკდესის კორ.). იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. რუმორმა პარლამენტის ორივე პალატას წარუდგინა ქვეყნის ახალი მთავრობის პროგრამა.

თავის გამოსვლაში მან ხაზგასმით აღნიშნა იტალიის მისწრაფება მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისადმი და თქვა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს დაძაბულობის შენელების პროცესისა და საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების.

იტალია, განაცხადა მთავრობის მეთაურმა, კვლავაც ესწრაფვის ახლო აღმოსავლეთის საკითხის სამართლიან და მტკიცე მშვიდობიან გადაწყვეტილებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს № 242 რეზოლუციის საფუძველზე.

დღეს პარლამენტში იწყება ქამათი იტალიის ახალი მთავრობის პროგრამის თაობაზე.

ჩილეს ხუნტის დანაშაულთა გამოძიება

ჟენევა, 22 მარტი. (საკდესი). აქ გაიხსნა ჩილეში სამხედრო ხუნტის დანაშაულთა გამოძიების საერთაშორისო კომისიის პირველი სხდომა. კომისიის მუშობაში მონაწილეობენ საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები, იურისტები, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

სესიაზე ჩამოვიდნენ ჩილეს საგანგებო ერთიანობის ყველა პარტიისა და ზოგიერთი პროფკავშირის წარმომადგენლები. მათ შორის ჩილეს სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი კარლოს ალტამირანო, ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის წევრი ვოლოდია ტეიტელბოიმი. სესიას დაესწრნენ ალენდეს ჩილეს ყოფილი პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ქვრივი და ქალიშვილი, ხუნტის ხელ დამობილი ჩილეს სახალხო ერთიანობის მთავრობის ხელოვნთა ლიგი და მინისტრი.

ჩილეს სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სამდივნოს ანგარიშით, ბევრ ადამიანს, ეჭვმიტანილ ხუნტის ფანატიკოსებს, ეშინიათ ჩილეში ჭეშმარიტი ინფორმაციის, ეშინიათ ადამიანური ურთიერთობების, ეშინიათ ადამიანური ურთიერთობების, ეშინიათ ადამიანური ურთიერთობების

შექსპირი—ჩვენი თანამედროვე

□ „იულიუს კეისარი“ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე □ „მეფე ლირი“ ქალაქ რუსთავის სახელმწიფო თეატრის სცენაზე

შექსპირთან წილნაყარმა და ნაზიარებმა ქართულმა თეატრმა ბევრი სიხარული განგვაცდევინა, დამარცხების მწარე სინანულიც გვაგება, ხოლმე — არც უბინობა ყოფილა. შექსპირი საჯილდაო ქვასა გვაგს, მას ტყუილუბრალოდ ადვილად ვერავინ შეეჭიდება. შექსპირის მწვერვალების ტრავერსი კვლავ გრძელდება. ჩვენი თეატრები ახალ თავფურცელს ფლიან ქართულ შექსპირიანობაში. ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის მანძილზე რუსთაველის სახელობის თეატრმა პირველმა განაორიელა. „იულიუს ბმილსარი“, ხოლო ახლანდელ კირველი შეხვედრა ჰქონდა შექსპირთან რუსთაველ თეატრის კოლექტივს.

ორი სხვადასხვა თეატრის, სრულიად განსხვავებულ ორ სპექტაკლს ბერთების შექსპირი, განასხვავებდა და მიჯნავს — თეატრზე, სასცენო ხელოვნებაზე, კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებაზე სხვადასხვა შეხედულება, სხვადასხვა გაგება, რომელიც განსაზღვრული თეატრალური ესთეტიკის სახეს იძენს და ზოგჯერ თავის „ჯულიეტაც“ მოაქცევს ხოლმე დრამატურგიულ მასალას.

ვემორჩილებით ტრადიციას და პირველ რიგში საუბარს, კვლავინდებურად, რუსთაველის თეატრით ვიწყებთ. სწორედ თეატრით და არა სპექტაკლით, რადგან ამ სპექტაკლის ყველა თვალსაჩინო ღირსება-ნაკლოვანება თეატრის შემოქმედებითი პრინციპებითა და პროგრამით არის განსაზღვრული-განპირობებული.

უკვე მეორე თვეულ წელს ითვლის დრო, რაც თეატრმა ახალი თეატრალური სინამდვილის დამკვიდრებას მიაყო ხელი. რუსთაველის თეატრში ფეხს იკიდებს სამემსრულებლო ხელოვნების თავისებური სტილი. იგი თანდათანობით შორდება, ემიჯნება ამ თეატრის ტრადიციულ სკოლას და სულ უფრო უახლოვდება წარმოდგენა-წარმოსახვის, თეატრალური გათამაშება-განსახიერების მახვრას. ეს უკანასკნელი გარკვეული ხარკია ახალი თეატრალური მიდინარეობის მიმართ, რომლის ათვისება ამდიდრებს და ავსებს მსახიობის სამემსრულებლო არსენალს, ავითარებს იმპროვიზაციულ ნიჭს, თეატრალური სინამდვილის არეს და ჰორიზონტებს.

თეატრმა შემოქმედებითი ძიებისა და გარდატეხის პერიოდში მარჯვედ გაართვა თავი ბუფონადური კომედიის („ჭინჭრაქა“) და ტრაგიკომედიის („სამანიშვილის დედინაცვალი“) ხორცშესხმის საქმეს. ამ ეარში თეატრმა საშურ გამარჯვებას იმიტომაც მიაღწია, რომ კომედიის განსახიერება თავად შეიცავს დამოკიდებულებით, ბრეხტისეული მეთოდით თამაშის ელემენტს. მაგრამ როცა საქმე მიდგა მაღალ ტრაგედიაზე, მისი ხელოვნება აქ ასეთ დიდ გამარჯვებას ვეღარ შესწვდა. ეპიკური თეატრის პრინციპი, რასაც თეატრი ირჩევს ტრაგედიის ეანრთან შეჯახებისას, მაყურებელში ბევრ საოუოსა და საეჭვოს ბადებს.

ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ არის ღრმად გააზრებული რუსთაველელების მიერ ბრეხტისეული პრინციპებით შექსპირული სახეების გახსნის რთული ხელოვნება. არ არის ბოლომდე შეთვისებული სახეების შენების ტექნოლოგია. იქმნება პრინციპებიდან გადახვევის, სანახევროდ ხარკის გადების შთაბეჭდილება.

როდესაც მაყურებლის თვალწინ სცენაზე გამოდის ტექნიკური რეჟისორი და გახმოვანებენ („ვეთა, ჭეკქუნილი) დემონსტრირებას ახდენს, თუ გონგს ჩამოკრავს, თეატრმა უნდა აიძულოს მაყურებელი ჩაუღრმავდეს ასეთივე გამომაფხიზლებელი გონგის ძალას, შეყოვნებებს, აზრობრივი ძახილის ნიშნებს თანამედროვე მოქალაქის პოზიციებიდან. როცა ეს შეყოვნებები ბრეხტის ზონგების სიმბოლოს სახით სპექტაკლში არა ჩანს, ინტელექტუალურ თეატრს საფუძველი ერყევა. ან კიდევ: თუ აშლილ და გახელებულ ვნებათა ღელვას საჭირო კრიტიკულ მოშენებში, არ ამოვდებთ აღვირს, რათა მაყურებელი თეატრისეული დამოკიდებულების აზრს ეზიარის, ვალალტობთ ეპიკურ თეატრს. რასან ეს პრინციპად გაგვიხადა, დავრჩეთ ბოლომდე ამ „რეჟიგინს“ ერთგულნი. მაგრამ, როგორც ჩანს, ძნელია შეაჩერო ინერგია, ემოციის გამოვლენის ყველაზე ეფექტურ მომენტში ზღვარი დაუდო ქართველი მსახიობის შინაგან ლტოლვას, ტემპერამენტს, მსახიობურ ცდუნებებს, ჭირს ახალი გზების გაკვალვა, მით უფრო მაშინ, როდესაც ჩვენ ეს განვიხილეთ კოლექტიური შრომის, მრავალი კომპონენტისაგან შემდგარი თეატრალური ხელოვნების სარბიელზე.

მაგრამ ის, რაც მიღწეული და მოპოვებულია ჭეშმარიტი პროფესიონალის მ. თუმანიშვილის მიერ სადადგმო-რეჟისორული ხელოვნების სფეროში, გვაჯილდებულებს ეს სპექტაკლი თვალსაჩინო მსატვრულ ფაქტად ვაღიაროთ.

თეატრი საბოლოოდ დიდ გამარჯვებას იზეიმებდა, ერთი გარემოება რომ არა, და თანაც, მნიშვნელოვანი; ეს შეეხება აქტიორულ სამემსრულებლო ხელოვნებას. რომელმაც ფეხი ვერ აუწყო პირველს — რეჟისორულს. ამ თეატრის შეხვედრები შექსპირთან ყოველთვის სრული წარმატებით როდი გვირგვინდება. მაგრამ სურვილი მასთან ხელახალი შეხვედრებისა არ უნდა ჩაქრეს. ესთეტიკური ძხარე ამ სპექტაკლისა იმ დონეზეა, რომ წარუმატებლობა (ამკარა, თვალსაჩინო) ძირითად ღირსებას ვერ გადაფარავს. აქ დამარცხება და გამარჯვება ერთიერთს თანასაწორებენ ეს გვიამედებს, რომ შემდგომი შეხვედრა მარად ძველ და მარად ახალ იმავე შექსპირთან ჰეშმარიტი გამარჯვებით უნდა დაგვირგვინდეს. ამისათვის საჭირო გახდება ახალი გასაღები მოენახოს თვითეულ სახეს ეპოქის მოწინავე პოზიციებზე მდგომი მსახიობ-მოქალაქის სიმაღლეებიდან. სახის განსახიერება, ისე როგორც მთლიანად ნაწარმოები. საშუალებაა და არა მიზანი. საშუალებაა, სასილეტი წერტილია სადღეისო აქტუალური აზრის, სადღეისო სატკივარსათქმელის განსაცხადებლად.

ფესაძლოა მკრეხელობაც იყოს წმინდა წყლის ეპიკური თეატრის ესთეტიკური კონცეპციებიდან გამომდინარე მსაიური და ბატალური უძლიერესი მიზანსცენების ავტორს — მ. თუმანიშვილს ეს უკიენონ, მაგრამ არც უამისობა იქნებოდა მართებული.

ჩვენს სურვილს, რომ ეს სპექტაკლი აღტაციების გამომხატველ ძახილის ნიშნებით შეეფასოთ, სხვადასხვა შეშფოთჭრილობელი მოსაზრება უშლის ხელს. ყოველი საქებარი ფრაზის შემდეგ ძალაუნებურად იბადება აკვიატებული სიტყვა — მაგრამ, რომელიც არ იქნა და ვერ მოვიცილეთ.

ეგონებ ერთადერთი, ვინც ასცდა ამ სიტყვას, მ. სალარაძის კეისარია, და ეს ცოტას როდი ნიშნავს, რომ ამ დადგმაში აქტიორული შესრულების თავდაპირველი სწორი ჩანაფიქრი დაკინასთთ და დადებითად შეეფასოთ. ეს ხდება არა იმიტომ, რომ სცენური პარტნიორები და კოლეგები ნას რამენი ჩამორჩებიან, არა! აქ არც შექსპირული სახეების ღრმა თუ ზედაპირული გაზრების ტრადიციულ მოთხოვნაშია საქმე. განსაკუთრებული პრეტენზია გვიჩნდება, როცა გვსურს დავადგინოთ, თუ როგორ ერწყმის თეატრისეული შექსპირულს და პირუკუ — შექსპირი თეატრისულს.

ცვენურ გარემოცვას, თეატრალურ სინამდვილეს, რომელსაც ქმნის რეჟისორი და რომელშიც უნდა გამოიხატოს და გაცხადდეს შექსპირული, ყველაზე მეტად გ. სალარაძის კეისარი ესადაგება, ამაშია სწორედ მსახიობის უპირატესობის საიდუმლოება იულიუს კეისარის კეისრობა მსახიობმა აქვია კრიტიკული დამოკიდებულების საგნად, ისე რომ ამ გმირის მიმართ მაინც შეინარჩუნა დისტანციური კრძალვა. პიროვნებას იგი ჯეროვან პატივს მიაგებს, მაგრამ მოვლენას — ამსოლუტურ მონარქიას — ქირდავს იმპოზანტური სიდიადის მაუწყებელი ხაზგასმული პლასტიკურობით.

მსატვრული ფანტაზიისა თუ ისტორიის ანალებიდან წამოსული დიდი ვნებების შემცველ შექსპირულ სახეთაშუა მუდამ მოიძებნება ისეთი რამ, რაც დღევანდელი აუდიტორიისათვის მეტად საჭირო და დროულ შეგონებად შეიძლება ვაქციოთ. და თუ ჩვენ ამას არ გამოვაყენებთ, არ მოვიშველიებთ, ვალალტობთ განსხვავებულის ფორმის ძირითად აზრს და ნერხარსს. სამწუხაროდ, ამის არა ერთი და ორი მაგალითია ამ სპექტაკლის მსახიობთა საშემსრულებლო ხელოვნებაში.

მსახიობთა შესრულება მთელ რიგ შემთხვევაში ვერ აღწევს გარკვეული ცნების სიმაღლემდე. მათ შესრულებაში არ რეკს საგანგაშო ზარი და არ ისმის თანამედროვეთათვის მოწოდება, მფროხილებელი ძახილი, რა შეიძლება ეწოდოს მოცემული სოციალურ ტიპს, პოლიტიკურ მოღვაწეს, რა საშიშ, ან სასარგებლო ტენდენციას განუმზადებს ის საზოგადოებას დღეს თუ არა, ხვალ მაინც! ან კითხვები, რომლებზედაც პასუხს უნდა იძლეოდეს ამ ყაიდის სპექტაკლი. ეს არ გახლავთ უბრალოდ სტილის საკითხი, რომ მას გვერდი ავუაროთ. ეს მხატვრული ტენდენციაა, ცალკე სინამდვილეა, განსხვავებული თეატრალური სამყაროა, რომელიც ღრმად იჭრება ცხოვრების შუაგულში და მასზე აქტიური ზემოქმედების პრეტენზიას აცხადებს...

სპექტაკლის ის იერსახე, რაც შექსპირს მოუნახა რეჟისორმა, საგულისხმო აზრებს აღძრავს. იგი ბევრ-ფაფიქრებს უპირველესი თეატრების ხვალინდელ დღესა და პერსპექტივებზე, თეატრის თანამედროვეობაზე, ტრადიციასა და ნოვატორობაზე, განასხვავებულ ადამიანებ და ნოვატორობაზე, ქართულ თეატრში სრულიად მივიწყებული ეროვნული ფორმებისათვის საგანგებო ზრუნვის მომწიფებულ პრობლემებზე. იგივე სპექტაკლის ღრმად თანამბეჭდავი სახეირება აღტაციების გამომხატველი შეძახილებისათვის განგვაწყობს, მაგრამ როცა ღრმად ჩავუკვირდებით, ჩვენს ყურთასმენას ის ავბედითი სიტყვა ისევ მოვსმის და „მეფე ლირის“ ხუმრას ზანზალაკების მსგავსად გამაფრთხილებლად რეკს.

ხუმრას ზანზალაკების ღლარუნი საბოლოოდ ამთავრებს და წვრტილს უსვამს რუსთაველის თეატრის „მეფე ლირს“. სპექტაკლის ეს საფინალო გონგი ადამის ძეთა სუსტ მეხსიერებასა და ბუნებავიწყობას ერთხელ კიდევ უხმობს: სცენაზე დატრიალებული მწუხარე ამბავი ყურად იღონ და საბერო დასკვნებიც გამოიტანონ.

„ულიამ შექსპირი. მისი მართალი ისტორიული ქრონიკა მეფე ლირისა და მისი სამი ასულის ცხოვრებისა და სიკვდილის შესახებ. გრაფი გლოსტერის შვილის და მეძეკვერის ედგარის უბედური ცხოვრებისა...“ „მეფე ლირის“ პირველი გამოცემის ეს სათაური თავისუფლად გამოდგებოდა ბ. ლორთქიფანიძის ძირ დადგმული სპექტაკლის ეპიგრაფად თუ არა, საანტაციოდ მაინც.

მეფე ლირის ტრაგედიის ჩვენება და ამ ტრაგედიის უკუფენის — გრაფ გლოსტერისა და მისი შვილების ისტორია სცენური ქმედობის ორი ხაზია შექსპირისეული ერთიანი ღრმა აზრის ნათელსაყოფად.

რუსთაველ თეატრში ტრაგედიის პოლიფონიურობა, ნაწარმოების უმთავრესი ლეიტმოტივის მრავალწახნაგოვნება და სიუჟეტური სირთულე ერთიანი მოქმედების სიცხადითა და უწყვეტი დინამიკურობით ხასიათდება.

ეპითეტი — ფერმწერის ფუნჯის მშვენიერი მონასმი რეჟისორული მიზანსცენების დასახასიათებლად არ გამოდგება. სცენების ლაკონურობა და პირქუში სიმკაცრე ლითონმოქანდაკის ენერგიულ მონახაზებს უფრო მიესადაგება.

მაყურებელი რუსთაველ თეატრის სპექტაკლში ბევრ კითხვაზე პოულობს პასუხს. აქ მასტაბური სოციალური პანორამაა გადაშლილი თვალწინ, ადამიანთა ვნებათა ქარიშხალი დაუმცხრალად ბობოქრობს და ხშირ შემთხვევაში სულის შემძვრელი, მომნუსხველი ძალით მოქმედებს ჩვენზე. ეს შექსპირის „მეფე ლირია“ პირველყაროს სიწმინდით, იმ სახით და ისე, როგორც წარმოგვიდგენია, წაგვიკითხავს და განგვიცდია. ეს თანხვედრა ჩვენს პატივმოყვარეობას ეალბუნება. თეატრს მიაჩნია, რომ მოულოდნელისა და ახალ აღმოჩენათა სიხარულის საფუძველი თავად შექსპირშია საძებნელი. გარეგან შეტანილი ლი, რედაქციაქმნილი —საძრახისი კადნიერებაა. ის ასკეტური სიმკაცრე და გმირთა შორის დამოკიდებულების სიუხვეში, რაც სპექტაკლის იერსახეს მეტად თავისებურს ხდის, ისევ და ისევ შექსპირის „მეფე ლირის“ მართებული ზეკითხვიდან მომდინარეობს. გრაფები, ლორდები და მილორდები, სამეფო კარის სეფე ქალნი, ასე ყოველგვარ ბანოვნებას მოკლებული კადნიერებით რომ ირჯებიან, გაგვკვირვებია, მაგრამ როცა მოგვგონებია, რომ ისინი ადრინდელი პერიოდის, წარმართული ხანის ბრიტანელები არიან, ყოველგვარი პრეტენზია უკუგვიდგა.

დროის მსახვრელი ხელი ყველაფერს სწვდება. დრო უძლურია მხოლოდ ნიჭისა და ტალანტის წინაშე. ამას თუ დაუმტკიცებთ ინვიათ სანაქებო ოსტატობას, რითაც მუდამ ასე გამორჩეოდა ქართული თეატრის დღევანდელი უხუცესი პროტაგონისტი ასპაკმ მასსაძ, საოცრებათა მოწმენი შეიკენებთ. მეფე ლირში მეფე ლირის ასაკს მიტანებული მსახიობი თავის ასაკს უკან აბენებს, მხრებიდან იბერტყავს სიბერის წლებს.

საოცრად დაამშვენა ამ როლმა მსახიობის შემოქმედებითი ცხოვრება, თავად ფაქტმა კი — ახალგაზრდა თეატრის ბიოგრაფია.

რუსთავის თეატრის „მეფე ლირში“ ხუმრა სამეფო ტახტის საზოგგს ეფარება და იქ არის უწყმრად მიჯნეული, ყველა საჭირო მომენტში ანაზდად გამოენთება და ტახტის მფლობელის უგუნურობას ამხელს. ამას ებრძვის, რითაც თვით იკვებება, იფარავს თავს, არსებობას ინარჩუნებს. აქ, ისე როგორც სპექტაკლის საფინალო სიტყვებში, მეზარე სინამდვილის მაუწყებელი ხელოვნების სიმბოლური სახე მონანს, რომელიც მსახიობისა და ინობაზის უწყინარი საფარით შეჯავშნულა. ასეთია შექსპირისეული ხუმარა თეატრის ინტერპრეტაციით.

ქართული თეატრის დეკორაციული ხელოვნების მაღალი დონე ეჭვმეუტანელია. ეს რუსთაველია (ბ. ბეშნია) და რუსთაველის (მ. ჰაჰჰაჰაძე) თეატრების შექსპირული სპექტაკლების მსატვრებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს სცენური სივრცის ორიგინალური გაზრებით. მაგრამ აქ ჩვენ გვსურს ვიხსენოთ სცენის მიღმა დარჩენილი უჩინარი ადამიანები; კერძოდ კი ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ვერნიცკი, რომელმაც მარიონეტების მცირე თეატრის ტექნიკური პრინციპი რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე გადმოტანა და მსატვრის თამამი ჩანაფიქრი სცენური საოცრებების მომხდენ რეალობად აქცია.

ალ. შალუტაშვილი.

სურათებზე: მარცხნივ — ა. ვახაძე, მეფე ლირის როლში; სცენა სპექტაკლ „იულიუს კეისრიდან“, იულიუსი — გურამ ხალვაშიძე (მარცხნივ), დეციუსი — ი. ლალიძე.

ა. კაპკასიძის ფოტო.

ანაგელთა საუცხოო თაოსნობა ფრთებს შლის

ისაროს სიკეთის ნერგმა

მწვანე მეგობრებს გვთავაზობენ სიღნაღელები, ტიბაანელები...

ამას წინათ ჯერ იყო და სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის მშრომელებმა ააშენეს თბილისში, საბურთალოს დასაწყისში მდებარე ანაგის ქუჩა. ანაგელებმა თავიანთი სოფლის სახელობის ქუჩაზე დარგეს მოზრდილი ხეები.

ეს კეთილი საქმე კი ასე დაიწყო: სასოფლო საბჭოს სესიამ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება — გაამწვანონ თბილისის ის ქუჩა, რომელიც მათი სოფლის სახელს ატარებს. ეს იქნება დედაქალაქთან კავშირის განმტკიცების კიდევ ერთი ფორმა. დედაქალაქსადმი თავიანთი სიყვარულის გამოხატულება.

ანაგელთა პატრიოტული თაოსნობა მოიწონა პარტიის სიღნაღის რაიკომმა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მხარი დაეჭირათ მისთვის. ბევრი მომდევარი გაუჩნდა კეთილ საქმეს. გადაწყდა რაიონის ყველა სოფელმა, პირველ რიგში კი იმ სოფლებმა, რომელთა სახელობის ქუჩებიც არის ჩვენს დედაქალაქში, აგრეთვე ქალაქებმა სიღნაღმა და წნორმა აქტიური ონაწილეობა მიიღონ თბილისის გამწვანებაში. განსაკუთრებულ ყურადღება მოექცევა აგრეთვე იმ ქუჩებს, რომლებიც ატარებენ რაიონის გამოჩენილ ადამიანთა სახელებს.

და აი გუშინ, დილაადრიან ქალაქ სიღნაღის ოთხმოცამდე მშრომელი ეწვია თბილისს. ოქტომბრის რაიონში მდებარე სიღნაღის ქუჩა, მიუხედავად წვიმიანი ამინდისა. ასეთი ხმაურიანი და ხალისიანი აქაურ მცხოვრებლებს ალბათ არც კი ახსოვთ. ავტომანქანების ძარიდიდან რიგრიგობით გადმოაქვთ ჭადრისა და კაკლის ხეთა ნერგები და მათ ღრმად გათხრილ ორმოებში უმალავენ ფესვებს. სიღნაღიდან აქ ჩამოვიდნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ქოქიაშვილი, სანეიდსადგურის მთავარი ექიმი გ. ნათიძე, მილიციის რაიგანყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ი. ნადირაშვილი, ეკონომისტი გ. ჩქარაშვილი, საფინანსო განყოფილების გამგე ა. ბერიაშვილი, ამავე განყოფილების თანამშრომლები ვ. მოსაშვილი და თ. ელაშვილი, რაიაფთიაქის გამგე ს. ბოჭორიძე, კინოფიკაციის განყოფილების ადმინისტრატორი ბ. გოცირიძე, კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ჯ. ჯიყაშვილი და სხვები. ყველას ჩამოთვლა ძნელია.

ქუჩის მთელ გაყოლებაზე ლარივით გაუსწორდა ერთმანეთს საკმაოდ მოზრდილი ჭადრები, რომლებიც სიღნაღელ მშრომელთა ხელით დაირგო და რომლებმაც სიღნაღის ქუჩაზე უნდა იშრიალონ.

მალე გაიბა მეგობრული საუბარი აქაურ მცხოვრებლებსა და ქალაქ სიღნაღიდან ჩამოსულ მშრომელთა შორის. მათ ერთმანეთს აუოიავეს, რომ განამტკიცებენ დაწყებულ მეგობრობას.

გუშინვე ტიბაანისა და თბილისის ზოგიერთ სხვა ქუჩებს ეტუმრნენ სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის მშრომელებიც. მათ ქალაქ სიღნაღის წარმომადგენლებთან ერთად ნარეკვეებით დაამშვენეს ხეთაგუროვის, არდონის და ცხრა ძმის ქუჩები, მეგობრობის ხეები დარგო პარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის შენობის ეზოშიც.

სიღნაღის რაიონის მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ ერთი კვირის შემდეგ უფრო ხელსგავიანად ჩამოიტანონ სიკეთის ნერგები ჩვენს დედაქალაქში და მისი ქუჩების, მისი ფერდობების გამწვანებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ.

ბ. ალექსიძე.

სპორტული ამბები

□ **კალათბურთი.** რიგის ტტტ-ს ქალთა გუნდმა თავის მოედანზე მოიგო მეორე ნახევარფინალური მატჩი პოლონეთის ლკს-სთან (ლოძი) — 81:52 (42:27) და ევროპის ჩემპიონთა თახის ფინალში გავიდა.

□ **ბადრაკი.** 25-31 მარტს მოსკოვში გაიმართება პიონერთა საასპლეების რიგით მეორე საკავშირო ტურნირი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. შეჯიბრებაში, რომელიც წრიული სისტემით ეწყობა, გამოვა 6 გუნდი.

□ **ფეხბურთი.** მოსკოვის „ლოკომოტივმა“ სოჭში ანგარიშით 3:0 (3:0) დაამარცხა სოფიის თანაკლუბელები. ეს იყო რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის თახის საპასუხო ფინალური მატჩი. პირველი შეხვედრა სოფიაში საბჭოთა ფეხბურთელებმა წააგეს 1:4. ახე რომ, ანგარიში გათანაბრდა — 4:4. ძალაში შევიდა ე. წ. „სათაო არითმეტიკა“ — გოლი, გატანილი მეტოჭის მოედანზე, ფასობს ერთიორად. თახი გადაეცა მოსკოვის „ლოკომოტივს“.

□ **მუვილდოსნობა.** ხელეაჩაურის რაიონის სოფელ ანგასაში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება სოფლის სპორტსმენთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა 44 სპორტსმენი, რომელთაგან 3 საკავშირო ნაკრების კანდიდატია. ქალთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა ლ. ბადმაკაროვამ (რუსეთის ფედერაცია), რომელმაც ვარჯიშში „მ-2“ მოაგროვა 2.112 ქულა, ეიეებში გაიმარჯვა მისმა თანაგუნდელმა ვ. ეშჩეევმა — 2.314 ქულა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ნ. ტაშიანმა პირველი ადგილი დაიკავა 60 მეტრზე სროლაში — 525 ქულა, ხოლო მრავალჭიდში აჩვენა მესამე შედეგი.

□ **ჭიდაობა.** ვიტებსკში დამთავრდა პროფსაბჭოთა ხპორტსაზოგადოების პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ქართველ ფალავანთაგან წარმატებით გამოვიდნენ „ლოკომოტივის“ წევრები ო. ტატიშვილი და გ. ჭელიძე, რომლებმაც ოქროს მედლები მოიპოვეს.

მინსკში ჩატარდა ხპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში იუნიორთა შორის. თბილისელებმა თ. ჩარკვიანმა და გ. კალატოზიშვილმა, შესაბამისად, პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს.

პირველი პროგრამით

25 მარტი

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის — „წიგნის ერთგული მეგობარი“, 18.40 — „მსოფლიო დღეს“, 18.55 — რუსპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.15 — „აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის შემსვლელი გეგმა — მოქმედებაში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „დანაშაული არ მოსდებოდა, რომ...“ 20.20 — „საბაჭოო გზები“, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „სახელმწიფო კომსომოლის პრემიის ლაურეატ ბ. ბ. ბ. ... 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ახალგაზრდული ხმები“, 23.50 — ახალი ამბები.

26 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.30 — მოსწავლეთა „არდადეგების გამო — „მხიარული საათი ბავშვებისათვის“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები: ქართულ ენაში, 17.45 — ბიოლოგიაში, 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცეროდნას ეკრანი“, 19.05 — სპორტული მიმოხილვა, 19.25 — „სტაბილური რიტმი ყველა უპირველ“, 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — „ახალგაზრდული ხმები“ — ფინალი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ახალგაზრდული ხმები“ (გაგრძელება).

27 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთა არდადეგების გამო: ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმი „ოქროს ანტილოპა“, 11.00 — ბავშვებისათვის — ქართული მხატვრული ფილმი — „გიორგი საკაძე“ (I სერია), 17.55 — მოსწავლეთათვის: „სასაეერო“, 18.30 — „საინტერესო შეკრება“, 18.45 — განცხადებები, 18.50 — „პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მიმართვის საპასუხოდ“ — „მე კომუნისტი ვარ“, 19.25 — „ფართო გზა ჰალმეტერ მეხილეობას“, 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — „ახალგაზრდული ხმები“ — ფინალი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრის საერთაშორისო დღე“.

28 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთა ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის — „მულტანარამა“, 11.30 — მოსწავლეთათვის ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი საკაძე“ (II სერია), 16.45 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები: ქიმიაში, 17.30 — სსრკ ისტორიაში, 18.20 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენი მიღწევები“ (ქართულ ენაზე), 18.40 — „მეცნიერება წარმოებას“, 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მეგობრული ტრადიციების ბგთი“, 19.30 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — ჟურნალი „მნათობი“ 50 წლისაა, 20.40 — „ბაკურიანი-74“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — დოკუმენტური ფილმი „ესპანეთის—73“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ახალგაზრდული ხმები“ ფინალი, 23.50 — ახალი ამბები.



29 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთა არდადეგების გამო: ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმი „ოქროს ანტილოპა“, 11.00 — ბავშვებისათვის — ქართული მხატვრული ფილმი — „გიორგი საკაძე“ (I სერია), 17.55 — მოსწავლეთათვის: „სასაეერო“, 18.30 — „საინტერესო შეკრება“, 18.45 — განცხადებები, 18.50 — „პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მიმართვის საპასუხოდ“ — „მე კომუნისტი ვარ“, 19.25 — „ფართო გზა ჰალმეტერ მეხილეობას“, 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — „ახალგაზრდული ხმები“ — ფინალი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ახალგაზრდული ხმები“ (გაგრძელება).

30 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია — ტანვარჯიში ყველასათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“, 11.30 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — კინონარკვევი, 12.15 — მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის შვილები“, 13.45 — ფერადი ტელევიზია. ტელემაყურებელთა შეკითხვებს უპასუხებს საბჭოთა კავშირის მუზეუმი, კვებისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მრეწველობის მინისტერთა ამხ. ნ. დოენინი (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.45 — მოსწავლეთა არდადეგების გამო. ფერადი ტელევიზია „მხიარული სტარტები“, 15.10 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.40 — 30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 16.10 — „მუსიკის სამყაროში“ სატელევიზიო მიმოხილვა, 17.10 — „გაზეთ „ლიტერატურული თვალი“, 17.30 — „ბავშვებისა“ (ბაწილი პირველი), 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.30 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „ხუთწლედის მოწინავენი“, 20.35 — რადიოკომპოზიცია „გაუუნარ ფერია ქმრ“, 21.35 — ძველებური მუსიკის კონცერტი. 23.30 — მღერის ანსამბლი „ორერა“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

31 მარტი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია მოსწავლეთათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „ბავშვებსწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — „ჯადოსნური ეკრანი“, 12.05 — „საბავშვო ბაღი“, 12.30 — „კინოაფიშა“, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად. ლექცია მათემატიკაში, 14.30 — კინონარკვევი, 14.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 15.40 — რუსპუბლიკის პირველობა მინი-ფეხბურთში. ფინალური მატჩის ტელერეპორტაჟი, 16.40 — „ჯანმრთელობა“. — სატელევიზიო პროგრამა, 17.00 — საერთაშორისო პანორამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.35 — „გადაცემა — „დავით ალდანიშვილი“, 18.20 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ“, 18.50 — „ლიტერატურული ალმანახი“, 19.20 — „ჩაი იჭყრიდეს სუფრას და ბულებს“, 20.00 — კინონარკვევი, 20.10 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „საუტრადო ორბიტაზე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30